

დადგენილება № ცვ-0900-22
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

7 ივლისი, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): სს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 7 ივლისი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ნუგზარ გვალია, პირადი № 62003007937, დაბ. 1947 წლის 27 აგვისტოს, მის. სოხუმის რ-ნი, სოფ. გვანდრა, რეგისტ. მის. ქ. ზესტაფონი, დ. უზნაძის ქ. № 142, ფაქტ. მის. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. თვრინი.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 4 ივლისს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ თვრინში, აბონენტ ნუგზარ გვალიას აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აბონენტს მაგისტრალურ იზოლირებულ კაბელზე მრიცხველის გვერდის ავლით დაერთებული ჰქონდა 2X2,5 კვ.მმ კვეთის სპილენძის არალეგალური სადენი, რომელიც შედიოდა მის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენდა 10,3 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. ნუგზარ გვალიას მიმართ 05.07.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 008440 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას, ითხოვს აღნიშნული ჩაეთვალოს საპატიოდ და იგი მომავალში არ გამეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ნუგზარ გვალია არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 04.07.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტი № A964258, რომლითაც დასტურდება ნუგზარ გვალიას მიერ ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი), რომელთა მეშვეობით დგინდება ნუგზარ გვალისა მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ნუგზარ გვალიამ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ნუგზარ გვალისა, პირადი № 62003007937, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე